PDF Eraser Free

დანართი №2

შპს ორიენტირი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ორიენტირი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტისსაერთომიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №373596(19.04.2021წ) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ქეთევან ღვანიძე - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა შპს - ორიენტირის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 14 აპრილს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების (განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები) დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 10 მაისს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესოგამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინავიზიტისფარგლებშიგაცემულირეკომენდაციებისშესრულებისშეფასებადააღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ დაწესებულება ახლა იმატებს

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

VII.რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის # 01/33 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. #26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, ქ. თბილისი, ც,დადიანის ქ. #26
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვადაშემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემდგომი განვითარების პროცედურა განსაზღვრულია შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის #01/15 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი"–თ, რომლის თანახმადაც კოლეჯში პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი. პროფესიული პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯი ახორციელებს, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის პროცედურას. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელთა მოვალეობაცაა მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია პროგრამის დამატების საჭიროებასთან დაკავშირებით და გაანალიზების შემდეგ წერილობითი ფორმით წარუდგინოს იგი კოლეჯის დირექტორს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2019 წლის 07 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" შექმნის/ადაპტირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის #15 სხდომის ოქმი, რომლის დღის წესრიგსაც წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" დამატების მიზანშეწონილობის დადგენა/დამტკიცება. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და ამავე პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილი ოქმის თანახმად კრების წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროგრამის „აღმზრდელი" დამატება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ასევე სამუშაო ჯგუფის, კრების შემდგომ შემუშავებული, წერილობითი მოხსენებითი ბარათი, კოლეჯის დირექტორის სახელზე, რომელშიც აღწერილია სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგები და საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მოხსენებით ბარათში პროგრამის მიზანშეწონილად მიჩნევის ერთერთ არგუმენტირებულ პოზიციად წარმოდგენილია ის, რომ კოლეჯი 2016 წლიდან ახორციელებს ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას, რომელზეც დღემდე არსებობს უწყვეტი მოთხოვნა, 2020 წლის ჩათვლით, კვალიფიკაცია მიენიჭა 37 პროფესიულ სტუდენტს, რომელთა უმრავლესობაც უკვე დასაქმებულია პროფესიით, კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიარა ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსი. მოხსენებითი ბარათის თანახმად პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა განპირობებულია ასევე იმითაც, რომ საქართველოში, ბოლო წლებში გაიზარდა სახელმწიფოს ინტერესი სკოლამდელი განათლების სფეროში კვალიფიციური კადრების აუცილებლობის მიმართულებით და დასაქმების ბაზარზე გაზრდილია მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ აღმზრდელებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება დაწესებულების მისიას, რომელიც ითვალისწინებს: სამედიცინო, განათლებისა და ბიზნესის სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის გზით, საერთაშორიოსო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ–ჩვევებით აღჭურვილი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მაღალ დონეზე რეალიზებული ადამიანური რესურსის მომზადება, რომელიც შეძლებს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

პროფესიულსტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის #01/107 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის #01/121 ბრძანებით, განსაზღვრულია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია. დაწესებულება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასადგენად, არსებული წესის თანახმად, ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი (08.04.2021წ.), სადაც წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის შემუშავებული პროექტი და ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის არგუმენტირებული დასაბუთება. დაწესებულებას, აღნიშნულ პროგრამაზე სურს მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის გათვალისწინებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი“ დამტკიცებულია შპს – ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის # 01/33 ბრძანებით.

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციით და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 მარტის # 01/15 ბრძანებით).

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „აღმზრდელი“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელისაგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია,პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობლობები, სტრუქტურა და მოდულები,სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევისდადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამას თან ერთვის ზოგადიდა სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ წესი;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციით;
- შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესი;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- მოხსენებითი ბარათი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათით (08.04.2021წ.), წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის შემუშავებული პროექტი და ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის არგუმენტირებული დასაბუთება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ კოლეჯი მილევად რეჟიმში ახორციელებს ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულ პროგრამაზე არსებული აქტიური სტუდენტები, პროგრამას ასრულებენ სექტემბრის თვეში. პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ბოლო 12 კვირა ეთმობა პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელ მოდულებს, რის შედეგადაც პროგრამისათვის საჭირო აუდიტორია, A გარემო, დაეთმობა ახალ ჩარიცხულ სტუდენტებს. დაწესებულებას, აღნიშნულ პროგრამაზე სურს მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის გათვალისწინებით.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიის გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A და ერთი B გარემო, თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, თითოეულ გარემოში, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ააიპ # 43 (24.03.2021წ. #09/07) და ააიპ # 46 (24.03.2021წ. #09/06) სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებთან და ასევე კერძო ბაღთან „შპს ნეევერლენდი“ (24.03.2021წ. 09/08). აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ აღნიშნული მოდულების საკუთარ ბაზაზე განხორციელება. გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის წესები, უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა მათი ბაზაზე ყოფნის პერიოდში. თითოეული საბავშვო ბაგა–ბაღი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 წლის ვადით.

ექსპერტები გაესაუბრნენ ერთერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მისი დაწესებულება აქამდეც ახორციელებდა საკუთარი დაწესებულების ბაზაზე პროფესიული სტუდენტების მიღებას და მათი თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებას. აღნიშნული ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფით, დაწესებულებაში დასაქმებულია გამოცდილი და კომპეტენტური კადრი. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკის განმავლობაში მონაცვლეობით შევიდნენ ყველა ჯგუფში, დააკვირდნენ აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათი ასაკის შესაბამისად მიმდინარე სასწავლო სააღმზრდელო პროცესს, ჯგუფში არსებულ წესებს, ყოველდღიურ რეჟიმს და სხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 17 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 12 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი. პროფესიული პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის წესი და უფლება მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის #01/107 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ორიენტირი“–ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“–თ, მუხლი 5; აღნიშნული წესის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია. მას ევალება საკონტაქტო საათების ჩატარება, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების მომზადება/შემუშავება, სტუდენტთა ცოდნის შეფასება, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება, განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა.
პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეებით, მათი გამოცდილებით და გასაუბრების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების თანამდებობრივი ინსტუქციითა და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პროგრამის შინაარსის და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ორგანიზება უნდა გაუწიოს კალენდარული გეგმების მომზადებას, პროგრამის სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას, ჩაერთოს ვერიფიკაციის პროცესსა და სხვა აქტივობებში, რაც მისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილება.
პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.
დაწესებულებაში სტუდენტებისათვის გამოყოფილია ცალკე სამკითხველო დარბაზიც.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის #01/107 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ორიენტირი“–ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“–თ, მუხლი 16; აღნიშნული წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით. დაწესებულების სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. აღნიშნული გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, და სველი წერტილები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შემოსავლების ნაწილში შედის: 1. კერძო დაფინანსება. 2. დიპლომის ღირებულება. ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: 1. პედაგოგის ანაზღაურებას; 2. ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას; 3. საწარმოო პრაქტიკის მომსახურებას; 4 საკანცელარიო ნივთების ხარჯს; 5. მატერიალური ტექბაზის ამორტიზაციის ხარჯს; 6. კომუნალურ გადასახადებს; 7. სხვა ზედნადებ ხარჯებს; 8. დაგეგმილ მოგებას;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიუჯეტის ფორმა;
- ხელშეკრულებები;
- დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციით;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3. საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება

2.3.1.პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადა ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი, რომლის მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. კოლეჯს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. გამოკითხვა ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, კურსდამთავრებულთა კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი).

2. **პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი, რომლის მე-6 მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეცვლის და გაუქმების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 2 მარტის 01/15 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

შპს ორიენტირში სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება განსაზღვრულია სასწავლო პეროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლით

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელელად არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი, როგორც კოლეჯის სასწავლო აუდიტორიებში, ასევე პრაქტიკის ობიექტების ბაზაზე. სწავლებისას გამოყენებული იქნება სწავლების თანამედროვე მეთოდები და შესაბამისი ტექნოლოგიები.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმანენტულად ჩაუტარდებათ ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეებზე, რაც გაწერილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმაში

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

შპს ორიენტირში სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება განსაზღვრულია სასწავლო პეროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების შემთხვევაში, გეგმის შედგენა ხდება პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით, მათი საჭიროებების შესბამისად

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

შპს ორიენტირს ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: საბავშვო ბაგა-ბაღიN43 , საბავშვო ბაგა-ბაღიN46, შპს „ნევერლენდი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF EraserFree

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს ორიენტირის სასწავლო/სამუშაო გარემოში დაცულია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯში უსაფრთხო გარემოს არსებობა რეგულირდება შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციის მართვის მექანიზმებით“, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

შენობის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შენობაში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრი).

კოლეჯის შიდა და გერე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო კამერებით.

ასევე, კოლეჯში გათვალისწინებული ახალი კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე უსაფრთხოების ყველა ნორმა და რეკომენდაცია/რეგულაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის №01/33 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“.
- შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის 01/107 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის N 01/55 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა“
- პრაქტიკის ოებიექტებთან შპს ორიენტირის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები
- შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის შესახებ - დირექტორის ბრძანება 01/64(თ)-16.09.2019 წ. /გაფორმებული ხელშეკრულება.
- დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის 01/55 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები“;
- შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 2 მარტის 01/15 ბრძანებით დამტკიცებული „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- ვიზუალური მტკიცებულებები (ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები სართულების მიხედვით,ვიდეო სათვალთვალო კამერები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება 01/36-02/06/2020 წ. - შპს ორიენტირის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციების შესაბამისი სამოქმედო გეგმა და წესები კოვიდის პრევენციისთვის სადეზინფექციო საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11-ე მუხლით „ პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემა“, განსაზღვრული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი,ობიექტური. ამავე წესის მე-12 მუხლი განსაზღვრავს შეფასების ინსტუმენტის ვალიდაციის პროცესს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტებისადი ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის დაცვას.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რითაც კოლეჯი განახორციელებს ვერიფიკაციის პროცედურას, როგორც შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ (ჯგუფი შეიქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით), რომელსაც უხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ დარგისა და განათლების სპეციალისტები და სხვა პირები.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11-ე მუხლის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემა“, 11.18.,11.19. და 11.23. ქვეპუნქტებით გაწერილია მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის (შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით) წესი.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11-ე მუხლის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელი , პროფესიული სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, თითოეული მოდულის ფარგლებში ახორციელებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას.

განმავითარებელი შეფასება ამოწმებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.განმავითარებელი შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელს საშუალებას აძლევს შეამოწმოს სტუდენტის გაგება/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, მისცეს რეკომენდაცია თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. იგი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მოტივაციას და ამაღლებს მის ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, კომენტარების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის 01/107 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- შპს ორიენტირის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის 01/52 ბრძანებით დამტკიცებული „ვერიფიკაციის მექანიზმები“

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისშესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

23.05.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---